ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 117 (2837) ● ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1965 წ. ● ფასი 8 კაპ.

დიდდება შენდება, მშვენდება და მხრებს შლის თბილისის გარეუბნები. ერთ-ერთი მათგანია ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის დასახლება.

აქაური ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის სანიმუშოდ მოწყობის მიზნით აიგო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ხოლო ამჟამად არქიტექტორ ნ. ქავთარაძის პროექტის მიხედვით მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა. სტადიონი 1000 მაყურებელს დაიტევს.

ამ ობიექტის მშენებლობაზე კარგი მუშაობით გამოირჩევიან დურგლები გ. მაისურაძე, ა. ქავთარაძე, მებეტონეები მ. მერაბიშვილი, ვ. ხვთისიევი, ზ. ახალკაციშვილი და სხვ.

სურათზე: სტადიონის მშენებლობა. სამუშაოს მწარმოებელი პ. სოსელია (შუაში) დავალებას აძლევს მუშებს გ. მაისურაძესა და ა. ქავთარაძეს.

ტექსტი და ფოტო გ. ქიმერიძისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მეორე ჯგუფი, I ქვეჯგუფი

გუნდი აუმჯობესებს თამაშს

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 15 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 1:0 (0:0).

„**ლოკომოტივი**“: გრძელიშვილი, იაშვილი, ჩუბინიძე, ონიანი, კიზირია, ისიანი, მუმლაძე, შაფათავა, მაზიაშვილი, ძაგანია, კოშკელოვი.

„**მოლდოვა**“: ვებერი, მარარიცა, ვოლოსტნიხი, კრასნოვი, კირიჩენკო, კოვაჩი, ცინკლერი, მირონოვი, გორშკოვი, შჩუკინი, არტიუკი.

მსაჯი ვ. კრავჩენკო (როსტოვი).

დუბლიორები — 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

კარგა ხანია, რაც თბილისის „ლოკომოტივი“ მტკიცედ ზის გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე. უკან დასახევი გზა მას აღარა აქვს. მაგრამ თუ ყურადღებით გავუკეთებთ ანალიზს შექმნილ მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რომ საქმე არც ისე უნუგეშოდაა და გუნდს აქვს საკმაოდ კარგი პერსპექტივები.

მართალია, პირველ ადგილზე მყოფ სვერდლოვსკის „ურალმაშს“ სადღეისოდ 18 ქულა აქვს, მაგრამ პირველ 8 გუნდს შორის მოხვედრა, რომლებმაც გათამაშების მეორე ეტაპზე ფინალური ჯგუფი უნდა შექმნან, თბილისელებს შეუძლიათ. აქ 13-ქულიანი კოლექტივებიც იმყოფებიან. მაგრამ საამისოდ საჭიროა დარჩენილი მატჩების მაღალ დონეზე ჩატარება, რათა სტარტზე დაკარგული ქულები მაქსიმალურად იქნას ანაზღაურებული.

2 ასეთი ქულა ლოკომოტიველებმა აიღეს გუშინ და ისიც ისეთ ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში, როგორიცაა კიშინიოვის „მოლდოვა“. თამაშს პირველივე წუთებიდან მიეცა ძალზე დაძაბული და საინტერესო ხასიათი. ორივე გუნდს აქცენტი ძირითადად შეტევაზე ჰქონდა აღებული, საინტერესო მომენტები ხშირად იქმნებოდა როგორც ერთ, ისე მეორე კართან. ძაგანიამ, კოშკელოვმა, შაფათავამ (თბილისელთა მხრივ), მირონოვმა, გორშკოვმა და არტიუკმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ძალზე ხელსაყრელი მომენტი, გარდა ამისა, მოწოდების სიმაღლეზე იდგა ორივე მეკარე: გამოცდილი ვებერი და ახალგაზრდა გრძელიშვილი.

კიდევ უფრო გამწვავდა ბრძოლა მეორე ტაიმში, როცა რკინიგზელებმა შეძლეს მიეღწიათ საერთო ტერიტორიული უპირატესობისთვის და რომ კოშკელოვს მეტი აქტიურობა გამოეჩინა მარცხენა ფლანგზე, „მოლდოვას“ დაცვას გაცილებით უფრო გაუჭირდებოდა მოწინააღმდეგეთა იერიშების მოგერიება.

მაღალი ტემპი არ დამცხრალა მთელი ტაიმის განმავლობაში. მე-18 წუთზე შაფათავა სწრაფად გავიდა გარღვევაზე და პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დააგვიანა და სტუმრები გადარჩნენ აშკარა გოლს.

ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, გატანილ იქნა 34-ე წუთზე. ძაგანიასი და მაზიაშვილის კომბინაციის შემდეგ კიშინიოველთა საჯარიმო მოედანზე შეიქმნა საგოლო მომენტი და ვებერი იძულებული იყო დაერღვია წესი, რისთვისაც მსაჯმა დანიშნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა მუმლაძემ — 1:0.

მონდომებულმა, ენერგიულმა თამაშმა „ლოკომოტივს“ მოუტანა დამსახურებული გამარჯვება.

დ. ბესოელი.

უკანასკნელი საათი!

◆ **როსტოვი,** 15 ივნისი. ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობს, საფრანგეთის „სტად ფრანსემ“ წააგო რსფსრ-ს ნაკრებთან — 1:3. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი სკა და რსფსრ-ს ნაკრები.

◆ *ლვოვი, 15 ივნისი.* ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფმა საფრანგეთის საფეხბურთო კლუბმა „ტულუზამ“ მატჩი გამართა ადგილობრივ „კარპატთან“. 90 წუთი ისე ამოიწურა, რომ ანგარიში არ გახსნილა — 0:0

◆ **ჰამბურგი,** 15 ივნისი. ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური ჩემპიონატის VIII ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები უგებენ იუგოსლავიელებს — 3,5:1,5. პარტიები მოიგეს პეტროსიანმა, ავერბახმა. ბრონშტეინი, ტაიმანოვი და ლუტიკოვი ყაიმს დაჯერდნენ. უნგრელები უგებენ ჰოლანდიელებს — 6:3, ხოლო გფრ-ისა და რუმინეთის მატჩში ჯერჯერობით ანგარიშია 3,5:3,5.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

კალათბურთელი ტყუპები

მსაჯის მძაფრმა სასტვენმა თამაში შეაჩერა. ორ ახლო მდგომ მოთამაშეთაგან ერთ-ერთმა წესრიგი დაარღვია. კი მაგრამ რომელმა? მსაჯი ძნელ მდგომარეობაშია. მის წინ ორი სრულიად ერთნაირი სახეა...

ამ საინტერესო შემთხვევას ადგილი ჰქონდა კალათბურთელთა ერთ-ერთი მატჩის დროს — ერთმანეთს ხვდებოდნენ ერევნისა და ლვოვის სპარტაკელები. სომხეთის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ტყუპი ძმები — არუთინ და დავით დავთიანები. ძმების საოცარ მსგავსებას მსაჯების გარდა ხშირად ინსტიტუტის მასწავლებლებიც შეჰყავდა შეცდომაში. ახლაც ღიმილით ახსენდებათ ლექტორი, რომელიც გამოცდაზე მათ მუდამ ერთად იძახებდა.

...ბავშვობის წლები ძმებმა სამშობლოდან მოშორებით გაატარეს: ეგვიპტეში, ზღვისპირა ქალაქ ალექსანდრიაში, რომლის ყოველი მაცხოვრებელი ზღვაშია შეყვარებული. მაგრამ ერთხელ ძმებმა ლამაზი და ტემპერამენტიანი თამაში — კალათბურთი ნახეს. თამაშმა მოხიბლა ისინი.

დაიწყო ვარჯიში. შემდეგ ქაირო, იქ ცხოვრება და კვლავ ვარჯიში, ამჯერად უკვე ერთ-ერთ საკლუბო გუნდში, სადაც მათთან ერთად თავის სპორტულ ბიოგრაფიას იწყებდა სსრ კავშირის ნაკრების ახლანდელი „დირიჟორი“ არმენაკ ალაჩაჩიანი.

...1947 წელი. საზღვარგარეთ მცხოვრები ბევრი სომეხი დაბრუნდა სამშობლოში. მათ რიცხვში დავთიანებიც იყვნენ. დაიწყო ახალი ცხოვრება. არც კალათბურთი მიეცა დავიწყებას. ძმები ერევნის „სპარტაკში“ შეუდგნენ ვარჯიშს, — სისწრაფითა და ტექნიკით მათ მალე მიიქციეს ყურადღება. სპორტისადმი დიდმა სიყვარულმა ისინი სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიყვანა, რომელიც წარჩინებით დაამთავრეს. ენთუზიაზმით შეუდგნენ ძმები საწვრთნელ მუშაობას. არუთინი დღემდე ავარჯიშებს „სპარტაკის“ ქალთა გუნდს, დავითი კი — ვაჟებს.

დავით დავთიანს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის კალათბურთის მოყვარულები. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მისი გვარი უცვლელადაა ქვეყნის 10 საუკეთესო არბიტრის სიაში.

ყველა, ვინც კალათბურთის შეჯიბრებებს ესწრება, აუცილებლად შენიშნავს ორ საოცრად მსგავს მამაკაცს, რომლებიც მძაფრი ყურადღებით შესცქერიან ორთაბრძოლებს. ისინი ძმები დავთიანები არიან. ამჟამად ძმები გუნდებს ახალი „ბატალიებისთვის“ ამზადებენ.

ა. ხაჩატრიანი.

ერევანი.

[illegible]

როგორც ცნობილია, ტამპერეში (ფინეთი) ამას წინათ დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა ათლეტების ბრწყინვალე წარმატებით აღინიშნა.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრების წევრები — მსოფლიო ჩემპიონები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ვ. ანისიმოვი, გ. საპუნოვი, რ. ბოგდანასი, ი. გრიგორიევი, ს. რიბალკო, ნ. შმაკოვი და ა. კოლესოვი.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

მოსწავლეთა XVII...

მაგიდის ჩოგბურთი

ბათუმელთა წარმატება

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა რუსთავში გაიმართა. ბრძოლაში ჩაება გოგონათა და ჭაბუკთა 9-9 გუნდი. ჭაბუკებში უძლიერესი იყო ბათუმის I ნაკრები. მეორე ადგილი დაისაკუთრა თბილისის I გუნდმა, მესამე — აფხაზეთის კოლექტივმა.

გოგონებში ყველას აჯობეს თბილისის I გუნდის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ბათუმის I გუნდის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — თბილისის II კოლექტივი.

პირად პირველობაში გოგონათა შორის გაიმარჯვა ბათუმელმა გ. პევზნერმა, რომელმაც ერთი დამარცხება იწვნია II ადგილზე გასული თანაგუნდელი ა. მურადიანისგან. III ადგილი წილად ხვდა თბილისელ ლ. კამენსკაიას.

ჭაბუკებში ტოლი არა ჰყავდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრს, სპორტის ოსტატს ს. სარხოიანს (ბათუმი). II ადგილი დაიკავა თ. წულაიამ (თბილისი), ხოლო მესამე — მისმა თანაგუნდელმა გ. მელაძემ.

გოგონების წყვილთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა ლ. კამენსკაიამ და ა. სუჯაშვილმა, ვაჟთა წყვილებში — ს. სარხოიანმა და ო. კაპლანიანმა (ბათუმი). შერეულ წყვილთა ასპარეზობაში კვლავ ბათუმელებს — ს. სარხოიანსა და ა. მურადიანს ხვდათ წარმატება.

ხელბურთი

მცირე უპირატესობით

ჭაბუკთა შორის პირველობის ბედი გადაწყვეტილი იყო, ვინაიდან თბილისის I გუნდს ღირსეული მეტოქეები არა ჰყავდა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა მისი შეხვედრა ბათუმელებთან. მხოლოდ თამაშის დასასრულს მოახერხეს თბილისელებმა უპირატესობის მოპოვება — 26:22.

II ადგილზე გავიდნენ ქუთაისელები, ხოლო მესამეზე — ბათუმელები.

გოგონათა შორის უძლიერესი იყო თბილისის I გუნდი. ქულათა თანაბარი რაოდენობა (10-10) დააგროვეს ქუთაისისა და თბილისის II გუნდის ხელბურთელებმა. მათ შორის მატჩში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა და II ადგილიც მათ მიენიჭათ.

ცალკეულ მოთამაშეთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მ. თვალჭრელიძემ, ს. ბარამიძემ, ვ. ივანოვამ, ი. პუგაჩმა (თბილისი), ნ. დუდუჩავამ (ფოთი), ლ. ვესელოვამ, ე. მიქაძემ (ბათუმი), თ. ჯაბაიამ (სოხუმი) და სხვ.

რ. გაბრიჭიძე.

რუსთავი. (ჩვენი კორ.).

მძლეოსნობა

პრიზიორები II ჯგუფიდან

ასეთი შეჯიბრება კარგა ხანია არ გამართულა მძლეოსნობაში. შარშანდელთან შედარებით მთელ რიგ სახეობებში შედეგები გაიზარდა, გაუმჯობესდა ჭაბუკთა 2 რესპუბლიკური რეკორდი. მათი ავტორები არიან საშუალო ასაკში 200 მ რბენაში გამარჯვებული თბილისელი ე. კონდრატიევი (22,8) და ათჭიდში უძლიერესი — რუსთაველი მოსწავლე ვ. დენისენკო (5487 ქულა).

უფროსი ასაკის მძლეოსნებმა მოიპოვეს 1 ოსტატობის კანდიდატისა და 5 პირველი თანრიგის შედეგი. რაც შეეხება II თანრიგს, მას შეწვდა უფროს ასაკში მოასპარეზე ყველა გამარჯვებული.

მისასალმებელია ისიც, რომ საგრძნობლად გაიზარდა მონაწილე გუნდების რაოდენობა. II ჯგუფში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 28 კოლექტივი ასპარეზობდა. უმრავლესობამ ჩამოიყვანა უდავოდ ძლიერი მძლეოსნები, რომლებმაც სათანადო მეტოქეობა გაუწიეს პირველჯგუფელებს (თბილისი, აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქუთაისი) და საპრიზო ადგილებიც კი მოიპოვეს. მაგალითად, სამტრედიის 1-ლი სკოლის XI კლასის ფრიადოსანმა დოდო კაპანაძემ 3768 ქულით II ადგილი დაიკავა ხუთჭიდში, ხოლო მახარაძელმა ვლადიმერ თალაკვაძემ — ბირთვის კვრაში (12,98). ბორჯომელმა ჯუმბერ ღონღაძემ გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში — 48,31. პერსპექტიული სპორტსმენებით წარმოგვიდგნენ ხაშური, ახალციხე, ბორჯომი, მახარაძე, ზუგდიდი, მესტია და სხვ. საშუალო ასაკის ბიჭების 100 მ რბენის 6 ფინალისტიდან 3 ახალციხელი (თ. ბექაური, ნ. გარსევანიშვილი და ს. მარუშჩაკი) იყო.

რაც შეეხება I ჯგუფს, გამარჯვებისთვის ბრძოლა ძირითადად გაჩაღდა თბილისსა და აფხაზეთს შორის, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ შარშანდელთან შედარებით აჭარამაც უკეთ დაკომპლექტებული გუნდი გამოიყვანა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელმა მაინც დაარღვია დებულება და თბილისში, „დინამოს" სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში მონაწილეობა მიაღებინა აშკარად მოუმზადებელ მძლეოსნებს. აი, მაგალითიც: სამტრედიელმა თ. კაკაურიძემ (საშუალო ასაკი) ურო მხოლოდ 21 მეტრზე ტყორცნა და 1 ქულა მისცა გუნდს, მ. მაკლაზიანმა (აჭარა) კი... 18,76 მეტრზე (მან, ცხადია, „0" მიიღო).

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: გოგონები. საშუალო ასაკი. რბენა: 100 მ—გ. ისმაილოვა (თბილისი) — 13,2; 200 მ — გ. ბოკუჩავა (აფხაზეთი) — 28,0; 300 მ — მ. ნიშნიანიძე (თბილისი) — 44,8; 80 მ თარჯრბენი — თ. რეფერდი (თბილისი) — 12,7; სიგრძეზე ხტომა — ნ. გნიოტოვა (თბილისი) — 498; სიმაღლეზე ხტომა — ვ. ბორისოვა (აჭარა) — 145; ბადროს ტყორცნა — დ. საბაური (თბილისი) — 31,48; შუბი — ლ. ბალაკინა — 35,91, ბირთვი — ს. ეზუხბაია (ორივენი — აფხაზეთი) — 11,48; ოთხჭიდი — თ. რეფერდი — 2753; **უფროსი ასაკი.** რბენა 100 და 200 მ — გ. კონონენკო (თბილისი) — 12,0 და 25,0; 400 მ — ს. პერვიშევა (სოხუმი) — 1.01,8; 80 მ თარჯრბენი — ლ. შუმილინა (თბილისი) — 12,5; სიმაღლე — ჯ. ხოფერია (აჭარა) — 145; სიგრძე — ც. ჩოლიაშვილი (დუშეთი) — 555; ბადრო და ბირთვი — მ. უჩაძე (აფხაზეთი) — 37,75 და 11,91; შუბი — ა. ნანიევა (სამხრეთ ოსეთი) — 36,66; ხუთჭიდი — ლ. საფრანი (თბილისი) — 3793; **ჭაბუკები. საშუალო ასაკი.** რბენა 100 და 200 მ — ე. კონდრატიევი (თბილისი) — 11,3 და 22,8; 400 და 600 მ — გ. ემინოვი (თბილისი) — 54,2 და 1.29,3; 110 მ თარჯრბენი — ვ. როდიონოვი (თბილისი) — 16,9; სიმაღლე — ვ. სვირიდოვი (აფხაზეთი) — 165; სიგრძე — ა. ტოვალიუკი (თბილისი) — 639; ჭოკი — ე. ქვაიჭაძე (თბილისი) — 320; ბირთვი — მ. ქანგოლციანი (ხაშური) — 14,86; შუბი — გ. ჩარჩხალია (აფხაზეთი) — 51,64; ურო — ი. ჩერკაშინი (თბილისი) — 48,25; ექვსჭიდი — ბ. ლაზიშვილი (აჭარა) — 2583; **უფროსი ასაკი.** რბენა 100 მ — ე. გაბარაევი — 11,3; 200 მ — ვ. ლისიცკი — 23,3; 400 და 800 მ — ვ. პონომარიოვი (ყველანი — თბილისიდან) — 52,5 და 2.02,7; 110 მ თარჯრბენი — ზ. ალხანაიძე (ახმეტა) — 15,9; 200 მ თარჯრბენი — კ. ნარმანია (აფხაზეთი) — 27,7; სიმაღლე — ნ. საგანელიძე (თბილისი) — 190; სიგრძე — ნ. დანილენკო (აფხაზეთი) — 690; სამხტომი — ვ. ჩერნიშოვი (თბილისი) — 14,36; ჭოკი — მ. თათევოსიანი (თბილისი) — 370; ბადრო — ჯ. ღონღაძე (ბორჯომი) — 48,31; ბირთვი — კ. ადამენკო (თბილისი) — 13,69; შუბი — ი. კოვინკო (აჭარა) — 58,06; ურო — რ. ჩიტაიშვილი (თბილისი) — 51,35; ათჭიდი — ვ. დენისენკო (რუსთავი) — 5487.

გუნდური. I ჯგუფი — 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა; **II ჯგუფი** — 1. მახარაძე, 2. ხაშური, 3. ფოთი.

ფრენბურთი

ტრადიციაც არის და ტრადიციაც!

ფრენბურთელთა ასპარეზობის ლიდერები თავიდანვე გახდნენ თბილისის ჭაბუკებისა და გოგონათა I გუნდები. დედაქალაქის ჭაბუკებმა პირველ წარმატებას სამხრეთ ოსეთის კოლექტივთან მატჩში მიაღწიეს. მეორე ტურში თბილისელთა მეტოქე იყო აფხაზეთის გუნდი. მასპინძლებმა კარგად შეასხეს ფრთა თავიანთ ჩანაფიქრს: თითქმის სულ გამოთიშეს მეტოქეთა მთავარი დამრტყმელი ძალა — მ. ვერბიცკი. ამან ნაყოფიც გამოიღო: თბილისელებმა გაიმარჯვეს — 3:0. მათ ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს აჭარის გუნდი. მომდევნო ტურებში თბილისელებს უკვე ველარავინ გაუწია მეტოქეობა. II ადგილი დაიკავა აჭარის გუნდმა, III — ქუთაისის კოლექტივმა.

ჭაბუკებს არც თბილისელ გოგონათა I გუნდი ჩამორჩა. II ადგილი ერგო აფხაზეთის გუნდს, III—რუსთაველებს.

საოცარია ის ფაქტი, რომ ქუთაისელი გოგონები 10-12 ივნისს უხელმძღვანელოდ დარჩნენ. მათმა მწვრთნელმა, ქუთაისის სპორტსკოლის დირექტორმა ზ. ალხაზიშვილმა მიატოვა გუნდი და სადღაც გადაიკარგა. ბუნებრივია, ეს გარემოება კოლექტივს სიკეთეს არ მოუტანდა.

სპარტაკიადაში კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ თბილისის ჭაბუკთა და გოგონათა II გუნდები. თბილისელი მწვრთნელები შ. მარგიშვილი და ს. ტარახჩიანი ამ კოლექტივთა თამაშს კარგად აფასებენ და იმედოვნებენ, რომ 1967 წლის საიუბილეო სპარტაკიადაზე ისინი ღირსეულად წარსდგებიან. ამ გუნდებში გამოირჩეოდნენ ვ. ნარეკლიშვილი (მე-15 სკოლა), გ. კალანდაძე (მე-2 სკოლა), ე. ავერიანოვა (მე-11 სკოლა) და სხვ.

შეჯიბრებამ (მთავარი მსაჯი თ. ყანჩაველი) გვიჩვენა, რომ ჩვენი ფრენბურთელების თამაშის კლასი შესამჩნევად გაზრდილა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ვ. ცვეტკოვი (მარნეული), ა. კარასი (რუსთავი), ვ. მალატიგინა (ბათუმი), თბილისელები ზ. კერესელიძე, ლ. სივოპლიასოვა და სხვ.

მისასალმებელია ისიც, რომ გარდაბნის ჭაბუკთა გუნდმა წელს პირველად შეძლო სპარტაკიადაში (I ჯგუფში) მონაწილეობის მიღება და თუ მან სასურველი ადგილი ვერ დაიკავა, ეს მისი გამოუცდელობას მიეწერება.

საგანგებოდ უნდა ითქვას სამხრეთ ოსეთის გუნდებზე. ისინი ცუდად იყვნენ მომზადებული. ცხინვალელმა გოგონებმა ერთი თამაშის მოგებაც კი ვერ შეძლეს, ჭაბუკებმა კი მარტო ერთი მატჩი მოიგეს. სამწუხაროდ, ეს „ტრადიცია" წლიდან წლამდე გრძელდება. სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ სამწუხარო ამბავს.

ლ. მუსხელაძე.

სურათზე: თბილისის მე-12 სკოლის VIII კლასის მოსწავლე რ. ბერიკაშვილი ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშის დროს. მრავალჭიდში ოსტატთა პროგრამით მან II საპრიზო ადგილი დაიკავა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სურათზე: „განთიადის" ფრენბურთელთა პირველობის მონაწილეების — სოხუმისა და ბათუმის სპორტსმენთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. ამ მატჩში გამარჯვება (3:0) წილად ხვდათ სოხუმელებს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

ნანა ალექსანდრია — ჩემპიონი

თბილისის „დინამოს" საჭადრაკო კლუბში ერთდროულად მოეწყო საქართველოს ჩემპიონატი გოგონებს შორის და უძლიერეს ჭაბუკთა ასპარეზობა. გოგონათა შეჯიბრებაში 16 ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა, ჭაბუკებისაში კი — 18. ორივე ტურნირი შვეიცარიული სისტემით (8 ტური) გაიმართა.

ჩემპიონატში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე დაწინაურდა ნ. ალექსანდრია. იგი პარტიას პარტიაზე იგებდა. ლ. კოროშინაძემ, რომელსაც შეეძლო გაპაექრობოდა აღიარებულ მოჭადრაკეს, მშვიდი თამაში ამჯობინა და ნანასთან პარტია ყაიმით დაამთავრა.

საბოლოოდ, პირველი ხუთი ადგილი ასე განაწილდა: 1. ნ. ალექსანდრია (7,5 ქულა), 2. ლ. კოროშინაძე (6), 3-5. ც. კობაიძე, ნ. ხუბულური, ც. სარაიდაროვა (5-5).

ის, რომ ალექსანდრია და კოროშინაძე პირველნი აღმოჩნდნენ, გასაკვირი არაა. ორივენი სსრ კავშირის ქალთა XXV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალისტები არიან. სასიხარულოა, რომ საგრძნობლად დაოსტატდნენ სხვები. მაგალითად, ც. კობაიძე. ბოლო ორი წელია ეს გოგონა თვალსაჩინო შედეგებს აღწევს. მისი გულმოდგინება და სიბეჯითე გვ-ირდება ახალ, უფრო მნიშვნელოვან წინსვლას.

აი, პარტიაც, რომელშიც კობაიძის პოზიციური აზროვნება მოწონებას იმსახურებს.

კობაიძე — პაპიაშვილი

ლაზიერის გამბიტი

1. c4 e6 2. მc3 d5 3. cd ed 4. მf3 მf6 5. d4 მc6 6. h3 კf5 7. a3 კe7 8. კf4 a6 9. e3 0—0 10. კe2 მe4 11. მ:e4 კ:e4 12. 0—0.

თეთრებს უკეთესი პოზიცია აქვთ. მათი მიზანია გამოიყენონ მეტოქის ლაზიერის ფრთის განუვითარებლობა.

12. ... ეc8 13. მd2 კf5 14. მb3 ეe8 15. ეc1 კd6 16. კ:d6 ლ:d6 17. კd3 მe7 18. მc5 ეb8 19. ეc3 კ:d3 20. ლ:d3.

კობაიძემ თამამად გაამარტივა თამაში, რადგან გრძნობს, რომ მისი უპირატესობა ლაზიერის ფრთაზე წარმატებას ჰპირდება. აქ რომ შავებს ეთამაშათ 20. ... c6 და მეფის ფრთაზე კონტრშეტევა წამოეწყოთ, მაშინ თეთრებს დიდი შრომა დასჭირდებოდათ თავისი იმედების ხორცშესხმისთვის. ახლა შავები თვითონ აჩქარებენ წაგებას.

20. ... მc6 21. b4 a5? 22. b5 მa7 23. a4 b6 24. მa6 (პაიკი c7 განწირულია) 24. ... ეbc8 25. ეfc1 ეe7 26. ლc2 e6 27. bc b5 28. ab მ:b5 29. ეc5 მa3 30. ლf5 ლe6 31. ლ:d5 ლ:d5 32. ე:d5 ეa7 33. c7 შავები დანებდნენ.

ჭადრაკი

ვაჟთა ტურნირში ჩვენი საუკეთესო მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ, ამიტომაც ასპარეზობამ უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა.

აი, ბრძოლის შედეგებიც: 1. ე. კარკმაზოვი (6,5), 2. გ. ვარდოსანიძე (5,5), 3-5. ნ. ფარლალავა (ფოთი), ა. ლიპარტელიანი, გ. ციხელაშვილი (5-5), 6-10. ა. ყურაშვილი (აბაშა), ე. უბილავა, მ. მიქაძე, ვ. ჩხენკელი, ს. ჩეჩელიანი (4,5-4,5).

თ. გიორგაძე.

ჯერ კიდევ ვერ ფლობენ...

წყალბურთი

დამთავრდა თბილისის ჭაბუკ წყალბურთელთა ჩემპიონატის I ტური. შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდა 5 კოლექტივი, უძლიერესი აღმოჩნდა განათლების განყოფილების I გუნდი (მწვრთნელები ვ. ბარნაბიშვილი და ვ. გოიაშვილი). თუკი I ადგილი განათლების განყოფილების სპორტსმენებმა იოლად მოიპოვეს, II ადგილისათვის დაძაბული ბრძოლა გაიმართა. „დინამოს" I გუნდმა მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით აჯობა „ლოკომოტივის" წყალბურთელებს.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჭაბუკ წყალბურთელთა კლასი ოდნავ ამაღლდა, თუმცა ისინი ჯერ კიდევ კარგად ვერ ფლობენ სპორტის ამ სახეობის ტაქტიკისა და ტექნიკის საჭირო მნიშვნელოვან ელემენტებს. იყო შემთხვევები, როცა ჭაბუკები ვერ იყენებდნენ რიცხობრივ უპირატესობასაც კი.

ჩვენთან სუსტადაა დაყენებული მსაჯთა ახალი კადრების აღზრდის საქმე. ამიტომ იყო, რომ ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე მატჩებს სჯიდნენ ან მოთამაშეები, ანდა გუნდების მწვრთნელები.

ვ. ჩიქვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიახლეს ფეხდაფეხ მივყვეთ!

ვ. მდივანი

მსოფლიო სამოყვარულო კალათბურთში ძირფესვიანად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა. მართალია, ჩრდილოამერიკელები კვლავ რჩებიან მსოფლიოში უძლიერესებად, მაგრამ სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს მათი უშფოთველად ბატონობის დრო. დაიწყო გააფთრებული კონკურენციის ერა, რომელშიც ამერიკელებს სულ უფრო უჭირთ პირველობის შენარჩუნება. და თუ დღეს, კალათბურთის სამშობლო მაინც მოწინავეა, ამ პოზიციას მან თანასწორთა შორის ძნელ ბრძოლაში მიაღწია: საბჭოთა კალათბურთელები უკვე კარგა ხანია ჩრდილოამერიკელებს ფეხდაფეხ მიჰყვებიან. ორი ათეული წელია, რაც მსოფლიო კალათბურთში შეიმჩნევა სწრაფვა, ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირისა — შეამციროს მანძილი, და, მეორეს მხრივ, ამერიკელებისა — არამც და არამც არ დაუშვან ეს შემცირება.

გარკვეულ დრომდე როგორც ჩვენი, ისე მათი ბრძოლის სტრატეგია ერთგვარად მსგავსი და ნაკლებად თავსამტვრევი იყო: ჩვენ ყოველი ღონით ვცდილობდით დავწეოდით მეტოქეს; ის კი ასევე ენერგიულად მიიწევდა წინ, რათა ზურგს უკან არ ეგრძნო ჩვენი სუნთქვა. და აი, აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენთვის უფრო გამოსადეგი ყოფილა.

მაშინ ამერიკელებმა სცადეს ჩვენი სიმარდის დაშოშმინება. ალბათ, გინახავთ ფეხბურთელი, რომელიც რბენის დამუხრუჭების ილუზიას ქმნის, როცა მას მეტოქე ეწევა. მოძრაობის რიტმის წამიერი შეცვლით იგი კვლავ მთელი სისწრაფით გაქანდება ხოლმე. ეს ფინტი საკმარისია, რათა წინ გავარდნის შიშით, დამწევმაც შეასუსტოს ტემპი. აი, დეზორიენტაციის დაახლოებით ასეთ სტრატეგიას მიმართეს ამერიკელებმა რომის ოლიმპიადის შემდეგ. და უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებითაც.

შეიძლება შემესიტყვონ, რომ ამერიკელებს ჩვენი დეზორიენტაციის არავითარი წინასწარი განზრახვა არ ჰქონდათ. ასეა თუ ისე, როცა მათ იგრძნეს რომ ჩვენ მათ ვეწევით (ნაწილობრივ, ამერიკის სამოყვარულო კალათბურთის შესუსტების, ხოლო ნაწილობრივ, ჩვენი კალათბურთის პროგრესის გამო), ისინი არ შეუშინდნენ ეროვნული პრესტიჟის ცრუ შელახვას და ჩვენთან ამხანაგურ შეხვედრებში ტაქტიკურ სიახლეთა ძიება იწყეს.

ვიმეორებ, ამერიკელებს ამ მატჩებში მხოლოდ გამარჯვება არ დაუსახავთ მიზნად. ისინი გულმოდგინედ ამოწმებდნენ იმ დეტალებს, რომლებიც შემდგომ უფრო მძლავრი ტაქტიკური მანქანის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ჩვენი მწვრთნელები კი, სამწუხაროდ, ამას ვერ ამჩნევდნენ. მათთვის შეხვედრათა შედეგები მსოფლიო კალათბურთში ძალთა შეფარდების რეალურ ასახვად გადაიქცა.

1963 წელს სსრ კავშირის ნაკრებმა ორჯერ დაამარცხა ამერიკელები თავიანთ მოედანზე. ეს იყო საგანგებო შემთხვევა, რომელიც დეტალურ და გონივრულ ანალიზს საჭიროებდა. და მაინც, მეტოქეთა ნაკრები, რომელსაც ჩვენმა ბიჭებმა მოუგეს, რომის ოლიმპიადის გუნდთან შედარებით სუსტი იყო ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ შესაფერისი ცვლა პროფესიონალებში გადასულ ჯ. ლუკასსა და ო. რობერტსონს ვერ მოუნახეს. ამას გარდა, მათ თამამად გამოცადეს ახალი ტაქტიკის ელემენტები. სწორედ ამიტომ ბრძოლა ამჯერად ჩვენი „საჰაერო" უპირატესობით აღინიშნა. ამერიკელები კი მშვიდად ეძებდნენ კონტრშანსებს თამაშის ორგანიზაციაში, რომელიც „პატარების" დამაგვირგვინებელ სროლებზე იყო აგებული. როგორც ჩანს, საბჭოთა მწვრთნელებს ეგონათ, რომ ამერიკელები იძულებული იყვნენ შორიდან სროლის ტაქტიკისთვის მიემართათ, ვინაიდან ისინი განდევნილ იქნენ ფარქვეშეთიდან. ფაქტიურად კი დანახული არ იქნა მოვლენის ნოვატორული არსი.

საგანგაშოც სწორედ ეს იყო. დროებითი უპირატესობა „მეორე სართულისთვის" ბრძოლაში კონიუნქტურული გარემოებებით იყო გაპირობებული. საჰაერო ბრძოლაში აღდგენილი სტატუს-კვო კი სულ მალე გამოავლენდა უფრო მოძრავი თამაშისა და შორი მანძილიდან ეფექტური სროლის უპირატესობას. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა (იხ. ი. ოზეროვის სტატია — „გიგანტთა შეხვედრა") საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ ჩვენ უკვე აღარ ვართ დამწევი მხარე და რომ, დავამარცხეთ ის ამერიკული კალათბურთი, რომელიც არაფერში ჩამოუვარდებოდა რომის ოლიმპიადისას.

ამერიკული კალათბურთის ტაქტიკის ერთ წერტილზე გაყინვისა და კონკურენციის სფეროთა შეცვლის ილუზია ჩვენს მწვრთნელებს შემდგომში კიდევ უფრო გაუღრმავდათ. ამას ხელი შეუწყო ამერიკელთა საპასუხო ვიზიტმა 1964 წელს, რომელიც ჩვენი ბიჭების დამაჯერებელი წარმატებებით დაგვირგვინდა. საკუთარ მოედანზე წარუმატებლობის შემდეგ, როცა ამერიკელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს პეტროვს, კრუმინშსა და ლეჟავას, საქმის ზერელედ შემყურეს შეიძლება მოჩვენებოდა, რომ ბერნსის აღმოჩენით მათ ახლა მხოლოდ მისი გამოცდა აინტერესებდათ.

მართლაც, „საშინაო ანალიზის" შემდეგ ამერიკელებმა თითქოს გვიჩვენეს ჩვეულებრივი კალათბურთი გიგანტითა და ტანმორჩილი გამთამაშებლებით. ერთი შეხედვით ყველაფერი თავის ჩარჩოში ჩადგა. ახალი ტიპის ცენტრალური თავდამსხმელი ბერნსი, რომელიც აშკარად ჩაგრავდა საბჭოთა გიგანტებს, სრულყოფილი იყო თამაშის ყველა სტადიაში, კალათზე საიერიშოდ გამთამაშებლისთვის დამახასიათებელი დრიბლინგით უსწრაფესად შემოდიოდა „სამწამიან ზონაში" და მოქმედების უჩვეულოდ ფართო დიაპაზონი ახასიათებდა. ყოველივე ამან ოდნავადაც არ გააოცა ჩვენი მწვრთნელები. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ საბჭოთა გიგანტების არასახარბიელო მდგომარეობას ერთგვარად ანაზღაურებდა ვოლნოვისა და კორნეევის ბრწყინვალე თამაში ფარქვეშ.

სინამდვილეში კი... 1963 წელს საკუთარ მოედანზე ამერიკელები ნებსით თუ უნებლიედ ქულებს „პატარების" ხარჯზე აგროვებდნენ. 1964 წლის ტურნეში კი მათ აქცენტი გადაიტანეს შეტევის წინა ხაზის დამაგვირგვინებელ სროლებზე. მაგრამ ერთიცა და მეორეც წინასწარ შემუშავებული კომპლექსური შეტევის ელემენტებს წარმოადგენდა, რომელიც ჩვენმა სტუმრებმა თბილისის დინამოელებთან თამაშში გახსნეს მთლიანად. სამწუხაროდ, ამ მატჩმა არ ჩააფიქრა საბჭოთა მწვრთნელები. მათ უკვე ღრმად სწამდათ, რომ ამერიკელთა დაწევის პრობლემა მოიხსნა და რომ, სტუმრები უკვე ვეღარაფრით გაგვაკვირვებდნენ.

ცენტრალური თავდამსხმელით თამაშის ვიწრო სპეციალიზაცია ამჟამად სულს ღაფავს: გიგანტებს გიგანტები გამოუჩნდნენ. მათი ჩვეულებრივი პოზიცია, რომელიც კალათის მიმართ ზურგით დგომაში გამოიხატება, ბევრ უხერხულობას ქმნის ფარქვეშ, განსაკუთრებით სროლისა და ასხლეტილი ბურთებისთვის აქტიური ბრძოლის დროს. მაშ რაღას აკეთებენ ეს ცენტრალური თავდამსხმელები? მხოლოდ ერთმანეთს დარაჯობენ. ეს არის და ეს. გიგანტთა პოზიტიური როლი კატასტროფულად ეცემა.

არის თუ არა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან? რა თქმა უნდა, არის: ერთის მხრივ, უკანა ხაზიდან სროლისა და სწრაფ კონტრშეტევებში, ან უფრო სწორად, „პატარების" შედეგიანობის მკვეთრ ამაღლებაში; მეორეს მხრივ, თვით ცენტრალურ თავდამსხმელთა თამაშის დინამიკის გაზრდაში. სხვათა შორის, ერთი მეორესთან მჭიდრო კავშირშია. კალათბურთში უკანა ხაზიდან სისტემატური სროლის დროს ცენტრალურ თავდამსხმელს მეტოქის ფარქვეშ ძველებურად თამაში უთუოდ გაუჭირდება. ახალ პირობებში მისი ფარქვეშა ფუნქციები არსებითად იცვლება. ახლა მისი ამოცანაა ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლა (და წამატება), რაც მოძრაობაში გაცილებით უფრო იოლია. აქედან გამომდინარე, შეტევის დროს (ფარისკენ პირისახით და არა ზურგით) იგი ვერ აცდება დრიბლინგს, ფარვას, სწრაფ გადაადგილებას და ნახტომში სროლას.

დაბოლოს, ცენტრალურ თავდამსხმელთა მანევრირების გაზრდის საჭიროება განაპირობა პრესინგის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამაც. როდესაც გუნდი „იჭერს" მეტოქის ცენტრალურ თავდამსხმელს, ეს, პირველ ყოვლისა, მოპრესინგეს უწყობს ხელს, რადგან მისი გიგანტი ამ დროს ორ კურდღელს იჭერს: უვნებელყოფს თავის უშუალო მოწინააღმდეგეს და, ამავე დროს, არ ტოვებს დაცვის საკვანძო პოზიციას ფარქვეშ. ამიტომ, პრესინგის საპასუხოდ, პირდაპირი აზრი აქვს საკუთარი ცენტრალური თავდამსხმელის უკან დახევას და თამაშის წარმოებას მთელს მოედანზე. ასეთ შემთხვევაში დაცვაში მყოფმა გიგანტმა ან გამუდმებით უნდა სდიოს თავის უშუალო მეტოქეს (რითაც შექმნის დერეფანს საკუთარი ფარისკენ), ან თავი მიანებოს მას. ორივე შემთხვევაში პრესინგის საქმე განწირულია. ამერიკელებმა ამ აზრით სისწორე ტოკიოშივე დაამტკიცეს.

როგორც ხედავთ, ტოკიოს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში ამერიკელებმა ახალი ტაქტიკა შექმნეს, რომელიც დაფუძნებული იყო კალათბურთელთა მაღალ მანევრირებაზე და ცალკეულ მოთამაშეთა უნივერსალიზმზე (ეს უკანასკნელი გულისხმობს ყოველი სპორტსმენის მაღალ შედეგიანობას, აგრეთვე დაცვის, ბურთის გათამაშების, დრიბლინგის, ფარვისა და ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლის უნარს).

უნივერსალიზმი! თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ დაცვითი საშუალების სრულყოფილად მფლობელი ხუთეული უდავო უპირატესობას იხვეჭს იმ მეტოქეზე, რომელსაც ამის უნარი არ გააჩნია. ამავე დროს ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ გუნდის სიძლიერე ერთიორად იზრდება, თუ მას მოედანზე ჰყავს ხუთივე სნაიპერი, რომელთაც, ამავე დროს, კარგად შესწევთ ბურთის გათამაშების უნარი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამედროვე კალათბურთში ყველას ყველაფრის გაკეთება (თავისებურად!) უნდა შეეძლოს. სწორედ ამიტომ იქნებოდა გონივრული საბჭოთა კალათბურთის ასეთ ლიანდაგზე გადაყვანა. მაგრამ...

ნებსით თუ უნებლიედ, ჩვენთან კვლავინდებურად თაყვანს სცემენ კალათბურთელთა ვიწრო სპეციალიზაციის პრინციპს, სადაც ერთნი გამთამაშებლები არიან, მეორენი — მხოლოდ სნაიპერები და ა. შ. სწორედ ამასთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლი საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი დიდი სპეციალისტის ს. სპანდარიანის სტატიას — „სარგებლობა თანაზიარი იყო" (იხ. „სოვეტსკი სპორტი", № 124. 1964 წ.). მასში მოცემულია ვიწრო სათამაშო სპეციალიზაციის თეორიული ბაზა, რომლის საწინააღმდეგოდაც აზრი არავის გამოუთქვამს. ჩანს, ეს წერილი მხოლოდ მისი ავტორის აზრს არ გამოხატავს. სტატიაში გამოთქმული აზრის მიხედვით, ამერიკული კალათბურთისადმი შემეცნებითი ინტერესი უკვე დაიკარგა. ჩვენი სპორტსმენების თამაში ავტორს გაიდეალებული აქვს და მას თანამედროვე კალათბურთის კვინტესენციად მიიჩნევს.



ევროპის კალათბურთელ ვაჟთა XIV ჩემპიონატი. სურათზე: შვეციისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ს. სპანდარიანის აზრით, ამერიკელებში ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ მაღალი სათამაშო დისციპლინა, სროლის ზოგიერთი დეტალი და დრიბლინგი. იგი პირდაპირ აცხადებს: „იმის შესახებ, თუ რა შეგვეძლო და უნდა გვესწავლა ამერიკელებისგან, უწინ რამდენიმე ათეული სტატია დაიწერებოდა... ახლა კი... ჩემს სათქმელს ეს წერილიც დაიტევს".

მწვრთნელმა ხეებს მიღმა ტყე ვერ შენიშნა. ჯერ ერთი, ორი ქვეყნის მეტოქეობის ვეებერთელა პრობლემა მას ორი ნაკრების შედარების დონემდე აქვს დაყვანილი; მეორეც, თვით ამერიკული ნაკრების თამაშის დეტალებს იქით ვერ შენიშნა მთავარი — შინაარსიანი ტაქტიკური ძიებანი, რომლითაც დაკავებული იყვნენ მწვრთნელები და რომელიც, ბოლოსდაბოლოს, ჩვენივე თავს უნდა დაგვატყდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს თვალის მოჭრა გამოწვეული იყო 1963 და 1964 წლების ამხანაგური შეხვედრების შედეგებით. შეხვედრებისა, რომლებმაც საბჭოთა კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და ნაკრების მწვრთნელებს არაორაზროვნად გამოათქმევინეს ოლიმპიურ ოქროს მედალზე პრეტენზია. და თუ ძალთა რეალური თანაფარდობის გრძნობა მათ აგრერიგად დაკარგეს, ამერიკელთა „წარსულისადმი" პატივისცემის გამო თავმდაბლობა მაინც უნდა შეენარჩუნებინათ. ყველაფერი, რასაც ფიქრობ, ხმამაღლა როდი ითქმის! გასაკვირია, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტს ტრაბახობდა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. გომელსკი. სწორედ ამიტომ ჩვენმა საზოგადოებრიობამ საბჭოთა კალათბურთელების მეოთხე ვერცხლი ტოკიოში წარუმატებლობად ჩათვალა.

პირველ ყოვლისა (რაც, სხვათა შორის, საჯაროდ აღიარა თვით გომელსკიმაც), შეცდომაა მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ქვეყანასთან პაექრობის მოგებაზე ფიქრი 7-10 მარჯვედ შერჩეული კალათბურთელის წყალობით (ალაჩაჩიანი, ტრავინი, ვოლნოვი, პეტროვი, კორნეევი, ლიპსო და ზოგიერთი სხვა). ეს შეიძლება საკმარისი იყოს ამერიკელთა დასამარცხებლად დროის გარკვეულ მონაკვეთში (თუნდაც ოლიმპიურ დონეზე). მაგრამ ვთქვათ აი, წავიდა კალათბურთელთა ეს თაობა და...

ჩვენ მეტის მიღწევას შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ ძალებს დავუპირისპირებთ ამერიკელთა არა ერთ ნაკრებ გუნდს, არამედ იქაური კალათბურთის პოტენციურ სიძლიერეს, საერთო განვითარების დონეს და თუ აღვზრდით ისეთ კორიფეებს, როგორიცაა უ. ჩემბერლენი, ო. რობერტსონი, ჯ. ლუკასი, ბ. კოუსი, ბ. პეტიტი და სხვ. ჩრდილოამერიკული კალათბურთის მთავარი უპირატესობა მის მასობრიობასა და უწყვეტობაშია. იქ ყოველწლიურად სოკოებივით იჩენენ თავს ახალ-ახალი პირველხარისხოვანი კალათბურთელები და ახალი ნაკრებიც მზადაა. ჩვენ კი, რაღა დაგიმალოთ და უკვე მესამე ოლიმპიადაში დაახლოებით უცვლელი შემადგენლობით ვაპირებთ მონაწილეობას.

შესაძლოა შემეკამათონ, რომ ამჟამად ჩვენ გეზი ნაკრების გადახალისებისკენ გვაქვს აღებული. მაგრამ საინტერესოა რა იცვლება ნაკრებში? წინანდებურად მხოლოდ სათადარიგოთა სკამი. და ამ ახალთა შორისაც უმთავრესად ნაცნობი სახელებია. მხოლოდ რამდენიმეა მართლაც ახალგაზრდა.

რითი აიხსნება ჩვენი კალათბურთის ასეთი შეფერხება? რატომ არ იზრდება ჩვენში ნაკრების ღირსეული ცვლა? აი, საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს. თუ არა და, მეხიკოში შესაძლოა კიდევ უფრო მეტად დავშორდეთ სანუკვარ მიზანს.

მარჯვედ შერჩეული რამდენიმე კალათბურთელით ამერიკელთა შემუსვრის იდეა ჯერ მხოლოდ იმიტომაა მანკიერი, რომ გამორიცხავს მთავარ პრობლემას — საკალათბურთო მოძრაობის უფრო სრულყოფილი ორგანიზაციის პრობლემას. იგი მანკიერია იმიტომაც, რომ ჯეროვნად არ ითვალისწინებს კალათბურთის განვითარების უმთავრეს საორგანიზაციო საკითხებს.

ჩვენც ვალდებული ვართ საერთო-საგანმანათლებლო სკოლებში გაცილებით უკეთესად დავაყენოთ კალათბურთის სავალდებულო სწავლების საქმე, კიდევ უფრო მაღალ დონეზე ვაწარმოოთ სპორტსკოლებში კალათბურთელთა მომზადება, მასობრივი და აქტიური გავხადოთ როგორც ნორჩ, ისე ძირეულ კალათბურთელთა ცხოვრება. დაბოლოს, მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ ჩვენი საკლუბო კალათბურთისა და ოსტატთა გუნდების მიმართ.

ცალკეულ კალათბურთელებზე ორიენტაციის მავნე მეთოდმა საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს გული აუყარა სხვა, არანაკლებ ნიჭიერ მოთამაშეებსა და საკლუბო კალათბურთის საერთო მდგომარეობაზე. მაგალითისთვის მივმართოთ უგრეხელიძეს. ერთ დროს თვით ა. გომელსკი წერდა, რომ მას მსოფლიოში არ უნახავს ისეთი ფენომენალური მონაცემების კალათბურთელი, როგორიც უგრეხელიძეა. და აი, ასეთმა სპორტსმენმა თავისი ძალთა გაფურჩქვნის პერიოდში უეცრად... შეწყვიტა ზრდა. დაინტერესდა თუ არა ვინმე ამ არაბუნებრივი მოვლენით? სამწუხაროდ, არავინ. უგრეხელიძეს კი შეეძლო ნაკრებისთვის დიდი სარგებლობის მოტანა.

ან ავიღოთ საკლუბო კალათბურთის მაგალითი. უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატში ცსკა-მ იოლად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედლები, მაგრამ წინა წლებთან შედარებით იგი გაცილებით სუსტად თამაშობდა. ამ აზრის ჭეშმარიტება დაადასტურა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებამაც, სადაც არმიელებმა უცხოეთის ბევრ გუნდთან სუსტად ითამაშეს, განსაკუთრებით კი — მადრიდის „რეალთან". ამას წინათ, „კომსომოლსკაია პრავდის" ფურცლებზე გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ე. ალექსეევმა ეს ჩავარდნა მოთამაშეთა გადაღლით შეალამაზა, რასაც არ შეიძლება მთლიანად დავეთანხმოთ. როგორც ჩანს, გუნდის თამაშის გაუარესებას სხვა ობიექტური მიზეზებიც აქვს. შეიძლება ამას თვითდამშვიდება ვუწოდოთ. შეიძლება ამაში დამნაშავეა ზოგიერთი მოთამაშის ხანდაზმულობა, რომლებმაც თავიანთი ოსტატობის ზენიტს უკვე გადააბიჯეს.

ასეა თუ ისე, წინა წლებთან შედარებით ცსკა-მ უფრო სუსტი თამაშითაც კი ჩემპიონობა მოიპოვა. რამ შეუწყო მას ამაში ხელი? იმან, რომ სხვა წამყვანი გუნდები კიდევ უფრო სუსტად გამოიყურებოდნენ. ნურც კიევის „სტროიტელი" და თბილისის „დინამო" დაიკვეხნიან თავიანთი საპრიზო ადგილებით. მათგან სამართლიანად ველოდით უკეთეს თამაშს. ჩვენს წამყვან გუნდებს შორის ადგილების განაწილებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელ გუნდს რა დონით დააკლდა ოსტატობა, ვისაც ნაკლები დააკლდა — ის უფრო მაღლა ამოჩნდა.

გამოიწვია თუ არა ამ საერთო რეგრესმა საკავშირო ფედერაციაში რაიმე რეზონანსი? არა. ესეც შენი ფედერაციის მუშაობის სტილი!

და მაინც, ამ რეგრესის ერთ-ერთი მიზეზი თვალში იმდენად გხვდება, რომ მასზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. კალათბურთის შეხვედრათა კალენდარი დღეს ისეა შედგენილი, რომ შეჯიბრება და წვრთნა ერთმანეთისგან სავსებით გათიშულია. გუნდები თავდაპირველად მხოლოდ ვარჯიშობენ, შემდეგ კი მხოლოდ შეჯიბრებაში მონაწილეობენ. სპორტულ თამაშებში კი წარმოუდგენელია სასურველი ფორმის მიღწევა წვრთნისა და ასპარეზობის ურთიერთ შეუხამებლად. შეჯიბრებათა ჩატარების არსებული ბუქნობრივი პრინციპი, როგორც ჩანს, დროის გარკვეულ მონაკვეთზე სიქას აცლის კალათბურთელებს, ხოლო ამავე დროს, სათამაშო „სესიებს" შორის ხანგრძლივი შუალედები გუნდის საბრძოლო ფორმის ხარისხს აქვეითებს. ალბათ უმჯობესია დავუბრუნდეთ გასულითი კალენდრის სისტემას, სადაც შეჯიბრებები თანაბრად იქნება განაწილებული თითქმის მთელი წლის მანძილზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

თბილისის პირველობა ბადმინტონში

სტარტიდანვე მწვავე ბრძოლები



სურათზე: დ. ასტახიშვილი თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ბადმინტონი დიდი ხანი არაა, რაც თბილისელთა სპორტულ ცხოვრებაში შეიჭრა, მაგრამ სპორტის ამ მიმზიდველმა სახეობამ უკვე შეძლო თაყვანისმცემელთა საკმაო რაოდენობის შეძენა. ეს დაადასტურა ჩვენს დედაქალაქში ახლახან გამართულმა, რიგით მესამე პირადმა პირველობამ, რომელშიც უკვე აშკარად იგრძნობოდა მონაწილეთა ოსტატობის ზრდა.

წინა წლებში ჩატარებული შეჯიბრებებიდან წლევანდელ ასპარეზობას მკვეთრად განასხვავებდა ის გარემოებაც, რომ ამჯერად პირველად გაიმართა შეხვედრები წყვილებსა და შერეულ წყვილთა შორის. ამასთან, ეს ჩემპიონატი იყო შესარჩევი ტურნირი I რესპუბლიკური შეჯიბრების წინ.

ამ ფაქტორებმა სტარტიდანვე დამუხტა საბრძოლო ატმოსფერო და ქვეჯგუფებშივე თავი იჩინა ისეთმა საინტერესო შეხვედრებმა, რომლებსაც მაყურებელი ჩვეულებრივ ფინალურ ბრძოლებში ელის ხოლმე.

წინა შეჯიბრებათა დამსწრე გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ა. დავიდოვის თამაშის აგრესიული სტილი. საბჭოთა არმიის რიგებში წასული ძმის ადგილი სპორტულ სარბიელზე დაიკავა მე-80 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ალექსანდრემ და წარმატებითაც გააგრძელა უფროსი ძმის ტრადიციები. მან ყველა შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ა. ავდეევთან (უნივერსიტეტი) დათმო პოზიციები. ამ უკანასკნელმა იოლად დაამარცხა დანარჩენი მეტოქეები და მესამედ მოიპოვა უძლიერესის სახელი თბილისელ ბადმინტონისტთა შორის.

შეჯიბრების დებიუტანტებიდან წარმატებას მიაღწია უნივერსიტეტის სპორტული კლუბის წევრმა დ. ასტახიშვილმა, რომელმაც გააზრებული თამაშით ბევრი გამოცდილი მეტოქე ჩამოიტოვა უკან და III საპრიზო ადგილი დაიკავა. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მე-80 სკოლის მოსწავლეებს გ. ბორიაკსა და ვ. ფილიშვილს, რომლებმაც დამაჯერებლად გაიმარჯვეს ქვეჯგუფებში და გამოცდილ ვ. კველიშვილსა და სხვებთან ერთად ფინალში გავიდნენ.

ბადმინტონის მოყვარულთათვის სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა მე-80 სკოლის მოსწავლე ა. მირიანაშვილის კარგი დებიუტი ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში. ეს დღითიდღე მზარდი სპორტსმენი გოგონა მხოლოდ რამდენიმე თვეა ვარჯიშობს უნივერსიტეტის სპორტკლუბში და უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: გაიმარჯვა თბილისის პირველ ჩემპიონ ზ. ღოღობერიძესთან ბრძოლაში და მხოლოდ 1 ქულის სხვაობით დათმო გადამწყვეტი პარტია საქართველოს უძლიერეს სპორტსმენ ა. ბეჟანოვასთან შეხვედრაში. ბეჟანოვამ არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ყველა შეხვედრის მოგებით მეორედ მოიპოვა უძლიერესის სახელი.

წყვილთა შეხვედრებში ადრინდელმა მეტოქეებმა — ი. მირიანაშვილმა და ა. ბეჟანოვამ ადვილად დაამარცხეს მეტოქენი და I ადგილზე გავიდნენ.

ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს დავიდოვმა და ბორიაკმა, რომლებმაც ფინალურ ბრძოლაში სძლიეს დ. ასტახიშვილისა და ბ. ახობაძის წყვილს.

შერეულ წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ვ. ავდეევი და ს. ქელეშნიაკი.

ბ. სამსონაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

„....ეს დიდებული სამეული იქნება!“

ასეთი სათაურით ათავსებს წერილს გერმანული ჟურნალი „ფუსბალვოხე“. უკვე რამდენიმე წელია, რაც უნგრელმა ფეხბურთელმა ტიხიმ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა და ბევრი მიმომხილველის აზრით, მას ალბერტსა და ბენესთან ერთად გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა ლონდონში.

მაგრამ უნგრეთის ნაკრების ერთ თამაშს მეორე მისდევს და ტიხი არც ერთ მათგანში არა ჩანს. უფრო მეტიც: როდესაც უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მონაწილეობის კანდიდატთა სია გაუგზავნა, არც აქ არის ნახსენები ტიხის გვარი.

გერმანელმა ჟურნალისტებმა ამის თაობაზე მიმართეს უნგრეთის ნაკრების მწვრთნელს ლ. ბაროტის (რომელსაც ტიხისთან ძალიან ცუდი დამოკიდებულება აქვს) და ასეთი პასუხი მიიღეს:

— ვიცი, რომ ტიხი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, რომელსაც ძალუძს მარტოც კი გადაწყვიტოს თამაშის ბედი. მაგრამ მას ერთი სერიოზული ნაკლი აქვს: ყველა თამაშში არ იბრძვის მთელი ძალით და მისი ასეთი „უხასიათობა“ ნაკრებს ხშირად ძვირად დაჯდომია.

ბაროტის აზრს არ იზიარებს ცნობილი უნგრელი რადიოკომენტატორი სეპეში:

— დარწმუნებული ვარ, — ამბობს იგი, — რომ უნგრეთის ნაკრები ტიხის გარეშე თავის შესაფერისად ვერ ითამაშებს. ამიტომ ტიხის დაბრუნება ნაკრებში აუცილებლად მიმაჩნია. ტიხი და ბენე თავდასხმის საუკეთესო დუეტს შეადგენენ, ალბერტს კი სხვა ფუნქციები დაეკისრებოდა — გამთამაშებლისა. ტიხი — ალბერტი — ბენე: ეს დიდებული სამეული იქნება!

სტენლი მეტიუზმა წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ბრიტანულ, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. იგი, ამავე დროს, თავისებური მსოფლიო რეკორდსმენია: დიდი ბრიტანეთის უპოპულარულესმა სპორტსმენმა ფეხბურთის მწვანე მინდორზე 50 წლის ასაკამდე დაჰყო.

ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილია სტენლი მეტიუზი (მარცხნივ) ჩოგბურთის გულშემატკივრის როლში. იგი მთელის გულისყურით ადევნებს თვალს თავისი ვაჟის — სტენლის თამაშს. სტენლი-უმცროსი ინგლისის ჩემპიონია იუნიორთა შორის. სახელგანთქმულ მამას ეამაყება, რომ მეტიუზების გვარი სპორტულ ასპარეზს არ სცილდება.

მ ო კ ლ ე დ

● **ბოლონია.** ცნობილმა დანიელმა თავდამსხმელმა ჰ. ნილსენმა, რომელიც „ბოლონიაში“ გამოდის, ჩაატარა თავისი მე-100 მატჩი ამ გუნდში. „ბოლონიაში“ ნილსენს სულ 60 გოლი აქვს გატანილი.

● **მადრიდი.** მადრიდის „რეალს“ უკვე 5 წელია სათავეში უდგას წარსულში ამ გუნდის ცნობილი ნახევარმცველი მ. მუნოზი. ესპანეთში, სადაც მწვრთნელები „ჩემოდნებზე სხედან“, ეს თავისებურ რეკორდად ითვლება.

● **მილანი.** „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელმა ე. ერერამ 80 მილიონი ლირა შეაძლია ბერგამოს „ატალანტას“ მეკარე პიცაბოლაში, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, 1964-65 წლების სეზონში უძლიერესი იყო იტალიაში. ჯერჯერობით ცნობილი არაა მიიღებს თუ არა „ატალანტა“ ერერას წინადადებას.

● **ლონდონი.** ცნობილი უელსელი ფეხბურთელი ჯ. ჩარლზი 1965-66 წლების სეზონიდან ინგლისის II ლიგის გუნდს „სვენსი ტაუნის“ მწვრთნელად იმუშავებს.

● **ციურიხი.** როგორც ფიფა-ს სამდივნომ გამოაცხადა, ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისას გაიყიდა სულ 2 მილიონი ბილეთი. აქედან მეოთხედი ფეხბურთის გულშემატკივრებმა შეიძინეს. ოდნავ მეტი მაყურებელი ჰყავდა მძლეოსნობას.

● **ლონდონი.** ინგლისის ფოსტა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისთვის ამზადებს საგანგებო საფოსტო ნიშნებს. ერთი მილიონი ნიშანი გამოვა სერ სტენლი მეტიუზის გამოსახულებით.

▲ **ტორინო.** იტალიისა და სსრ კავშირის სტუდენტ-მძლეოსანთა შეჯიბრებაში ი. ტერ-ოვანესიანი 770 სმ სიგრძეზე გადახტა, ხოლო ა. სკვორცოვმა გადალახა 203 სმ სიმაღლე. ორივე სპორტსმენმა პირველობა მოიპოვა. 400 მ თარჯრბენი მოიგო იტალიელმა ჯ. ფრონოლიმ — 51,2.

▲ **მილანი.** მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში 100 მ რბენა მოიგო ნ. პოლიტიკომ — 10,4. მან 0,1 წამით აჯობა იტალიელებს ლ. ბერუტისა და ე. პრეატონის. 200 მ რბენაში გაიმარჯვა ა. ოტოლინამ (იტალია) — 20,8. პოლიტიკო II იყო — 21,2.

▲ **ბუქარესტი. თავისუფალი სტილის რუმინელმა მოჭიდავეებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს იაპონელები — 5:3.**

▲ ვ ე ნ ა. ავსტრიის ღია პირველობა მრავალდღიან ველორბოლაში (1272 კმ) დამთავრდა პოლონელთა გამარჯვებით. მათ 4,04 წამით აჯობეს გდრ-ის გუნდს. მასპინძლები III ადგილზე გავიდნენ. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ავსტრიელი ჰ. ფურიანი — 35:31.12.

▲ ზ ა გ რ ე ბ ი. ბელგრადისა და ზაგრების მოსწავლეთა შეჯიბრებაში მ. გრედელამ ბირთვი ჰკრა 17,53 მეტრზე, რაც ახალი რესპუბლიკური რეკორდია. მანვე გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაშიც — 56,99.

▲ **ბარსელონა. ესპანეთის წყალბურთელებმა ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 4:3 დაამარცხეს საფრანგეთის ეროვნული ნაკრები.**

▲ **ბიტომი** (პოლონეთი). **აქ გამართულ იტალიისა და პოლონეთის რეგბისტთა მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 12:6.**

▲ **ნიუ-იორკი.** ოლიმპიური ჩემპიონები ცურვაში დ. შოლანდერი და კ. ფერგიუსონი მიმდინარე თვეში მონაწილეობას მიიღებენ 3 საერთაშორისო შეხვედრაში. დღეს ისინი გამოვლენ გფრ-ში, 22 ივნისს შვეიცარიაში, ხოლო 27-ში — ბელგიაში.



რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ამბები

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი 16 ივნისი. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. **სსრ კავშირის ახალგაზრდული** (ოლიმპიური) **ნაკრები — რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრები.** დასაწყისი 20 ს. 17 ივნისი. სსრ კავშირის თასის გათამაშება. **„დინამო“** (თბილისი) — **„ზნამია ტრუდა“** (ორეხოვო-ზუევო). დასაწყისი 20 ს.

საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების რესპუბლიკური სპარტაკიადა. 16-18 ივნისი. სპორტული ტანვარჯიში (სანაპიროს № 8). დასაწყისი 10 ს. **მძლეოსნობა.** „ბურევესტნიკის“ სტადიონი. დასაწყისი 18 ს. **კალათბურთი.** კიროვის სახ. პარკი (ლენინის ქ. № 37). დასაწყისი 9 ს. **ფრენბურთი.** სპორტული მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). დასაწყისი 9 ს. **ცურვა.** ფიზკულტურელის პარკი (სანაპიროს № 1). დასაწყისი 11 ს. **ქართული ჭიდაობა.** ტრანსპორტის სამმართველოს სპორტდარბაზი (ტელმანის ქ. № 8). დასაწყისი 11 ს. **სიმძიმეთა აწევა.** უნივერსიტეტის სპორტდარბაზი (ი. ჰავჭავაძის პრ. № 1). დასაწყისი 11 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, ხამდივნო—3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

Československý sport

DEUTSCHES sportecho AM DIENSTAG

Спорт У УТОРАК

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00683